





1. მეთაური: ა) მომკვმელთა უსპარეზობა;  
ბ) მკვლართ ნუ გვიგულებენ! 1
  2. ალ. ცირეკიძე—ცეცხლი 2
  3. ბაბილინა —\*\* ლექსი 3
  4. იოსებ არიშათიელი—ბავშვების მე-  
საიღუმლე—შიო მღვიმელი 3
  5. აკაკი—უბრალო საუბარი (ნაწყვეტი) 4
  6. კატო მიქელაძე—პარიზის ღამის  
სურათი, ლექსი 5
  7. პ. დვანელი—უმცერების მსხვერპლი  
(სოფლის ცხოვრებიდან) 6
  8. კ. ჭიჭინაძე—მტრების ფერი თვალი 8
  9. ილ. მოსეშვილი—ობოლი ფიქრი 9
  10. ი. სიხარულიძე—გაუფურცქვენი  
ვარდი 10
  11. აკაკის ნაკვეთები 9
  12. იოსებ იმედაშვილი—სამაგალითო  
სკოლა 10
  13. ანგარიში ქარ. ქალ. საქ-საზ. ქრა-  
კერვის სკოლისა 12
  14. ზ. ჩხიკვაძე—პ. ი. ჩაიკოვსკი 11
  15. ლადო ბზვანელი—მეირფასი წიგნი 13
  16. ქართული სახიობა (რეცენზიები) 14
  17. წვრილი ამბები; წერაღი რედაქციის  
მიმართ 11
- სურათები: ომის გვირგვინი, შიო მღვიმელი,  
გიორგი ჭყონდიდელი (მე XII საუკუ-  
ნიდან), იესო ქრისტე ეკლის გვირგვი-  
ნით, ვ. პ. მგვლაძე.—განცხადებანი.

## ხელისმომწერთა

### საყურადღებოდ

ვინც ქურნალის ხელმოსაწერ კუთვნილ  
გადასახადს არ შემოიტანს, მოძავადი  
კვირიდან ქურნალი აღარ გაეგზავნება.

ს. ჭიჭინაძის

## აჭარის შესახები წიგნები

1. ოსმალეთის ყოფილი საქართველო ფ. 50კ.
2. მუჰაჯირი ანუ დიდი გადასახლება  
ქართველ მაჰმადიანთა ფ. 50 კ.
3. ქართველ მაჰმადიანთა სოფლები  
საქართველოში ფ. 60 კ.

ისყიდება „განთიადი“-ს კანტორაში გ.  
მ. მახარაძესთან (მიხეილის პრ. № 18)  
ფოსტით მისამართი. Тифлисъ. 2-я Тума-  
новская, № 32. Зах. Чичиналдз—გინც  
ავტორისაგან—ს. ჭიჭინაძისაგან—გაიწერს  
გახაზგავნი ფასი არ გადახდება.

## 1 თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი „ს ა მ შ ო გ ლ ო“

ფასი: ერთი წლითი წლით 8 მან. ნახევარ-  
წლით 5 მან. თვით 80 კ. ცალკე ნომერი  
5 კ-დამატებიანი—7 კ. ესევე გაზეთი დაუ-  
რიგდებათ „იმერეთის“ ხელის მომწერლებს.  
წერილები და ფული იგზავნოს შემდეგის  
მისამართით: ქუთაისი, რედაქცია „სამშობ-  
ლო“ თბილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.  
გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი  
დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდე-  
ბულია თანამგრძობთა რიცხვის გამრავლებზე.  
ესთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნა-  
თესავ-მეგობრებს მოგვაცოდონ მათი სურათები.  
ესთხოვთ აგრედვე ადგილობრივ დაწესებულე-  
ბათა და საზოგადო მოღვაწეთ გვიგზავნონ  
სურათები.  
მოწვეულნი არიან კნობილი და საუკეთესო  
მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღე-  
ებში გამოცხადდება.  
რედაქტორი ი. თ. ცინცაძე





№ 11

წელიწადი 8 მ ა რ ა ტი

წლიურად 5 მ., ხანგრძლივად 3 მ., ცალკე ნომერად 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „საზოგადოება“ სტამბაში. მისამართი: თიფლისი რედ.-თეატრი და ცხოვრება“ I. იმედაშვილი

ხელ-მოუწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „საზოგადოების“ სტამბის კანტორაში—ღლით 9—2 ს., საღამომთ 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 11

კ ვ ი რ ა 15 მ ა რ ტ ი

1915 წ.

15 მ ა რ ტ ი

მკვდრად ნუ გვივლდება!

ჩვენს თვითნობიერ-

ბის დიდებული მოძღვარი

გვასწავლიდა: ცხოვრება-

ში დაცემული ორგვარია—ერთი, რაც უნდა ეცადო მის წამოყენებას, ტალახში ევლებოდა, მეორე-კი ცდილობს ზეწამოდგომას, მაგრამ ხელის გამწოდებელი არაინა ჰყავსო. . . თუ ნახო ასეთი დაცემულნი—პირველს წიხლი ჩაჰკარ, ხოლო მეორეს ხელი სტაცე და წამოაყენეო. . .

ასეთი მაგალითები ხშირია არა თუ კერძო აღმამთა, არამედ მთელ ერთა ცხოვრებაშიც.

ვიღრე ჩვენი სამშობლოს დროშა-აღამი მაღლა ფრიალებდა, ვიღრე ქართველი ღირსეულად იცავდა თავის ვინაობას, მანამდე მას ყველა მოწიწებით ეპყრობოდა, ხოლო როდესაც ისტორიის ჩარხის ტრიალმა დროებით დაამუხლისთავა, ბრალდანი და უბრალო წამოესია და ლამის არის ფეხქვეშ გაქელოს.

დაგვიწყეს ქირღვა... ჯერ იყო და ძალით გამაჰმადიანებული საქართველო გავითიშეს, ქართველ-კათოლიკეთა არსებობა საკამათოდ აქციეს და მათი დიდი ნაწილი ჩამოგვაშორეს; ჩამოგვათალეს აგრედვე ქართველი ბრძოლანები...

მომქმედო უასპარეზობა

იყო დრო, როდესაც ჩვენს საზოგადო დაწესებულებათა სათავეში საქმის

ღრმა მკოდნენი იდგნენ, ახლა კი საერთო საქმეს ის უდგება სათავეში, ვისაც მეტი პირადი მოკენქე-მეგობარი ჰყავს...

ამიტომაც არის, რომ ჩვენში ყოველი საკულტურო—დრამატიკული, სამწერლო, სა-მუსიკო თუ სხვა—საქმე ერთ ადგილს თუ არ გაყენულა, კუს ნაბიჯი მილოდავს წინ...

მაღლობა ღმერთს, ჩვენ უკვე მოგვეპოვებინა ხელოვნების სხვა და სხვა დარგის მკოდნენი, —ნუ თუ დრო არ არის მათ სა-მოქმედო ასპარეზი გაუჩინოთ?!

ერთი ასეთი პირთავანია ქართველ საზოგადოებაში კარგად ცნობილი ბ. ნი ნიკოლოზ გიორგისძე ქართველიშვილი, შვილი ცნობილ ქვემოქმედ-მეცენატის, ხელოვნების სხვა და სხვა დარგის კარგად მკოდნე, გამოცდილი, განსწავლული, სულით და გულით ქართველი, რომელმაც ჩვენს საზოგადო საქმეებში დიდი ღვაწლი შეიტანა არა თუ პირადი მოღვაწეობით, არამედ ნივთიერი დაზმარებითაც... დღეს-კი, ეს ერთი ხანია, იგი თითქო განაპირებულა მხოლოდ იმით, რომ თავის თავზე არ ყვირის...

ჩვენი კულტურისა და საზოგადო ჩვენი საქმეებში საქმის გულშემატყვიართა ვალია, ამ კაცის უნარს, თაოსნობასა და გამოცდილებას სამოქმედო ასპარეზი გაუხსნან: იგი ფრიად სასარგებლო კაცია და მისი უმოქმედო დატოვება თვით საზოგადო საქმის ზარალია...



ეს რომ არ იკმარეს, ამას წინაღ მთელი აკარა-ქობულეთი, ჩვენი სისხლი და ხორცი,

5129

1904



განდგომილად გამოაცხადეს, ხოლო როდესაც დამტკიცდა, რომ აპარტენი კი არ განდგომილან, არამედ უკუღმართ მართველთ აუწეწ-დაუწეწნიათ, მაშინ... მაშინ შეთხზეს ქართველი ერის დილატის ზღაპარი და მსოფლიოს მოპვნეს..

ქმარა მკონარეობა და დაუღვევობა! ქართველ ხალხს ჰპარათებს, აშკარად მოითხოვოს, რომ არა თუ უარპყონ ჩვენს შესახებ შეკრებილი ქორები\*), არამედ უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრან და დაიცვან იმ ერის სახელი, ეროვნული მთლიანობა და მიწა-წყალი, რომლის შვილები ამ უმაგალითო ომში ასეთის უმაგალითო გმირობით იბრძვიან და იხოცებიან...

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ ცოცხლობს უწევენ ანგარიშს, მკვდრებს-კი ასამარტენ...

## ს ა ე ს ლ ი

დალილი, ოფლიანი დაბრუნდა შინ... ისევ დაფეკვილი სახლი, წვიმის და ქარის უხვი მასპინძელი.. რა ხანია ეხვეწება მოხუცს, —მამა, მთაში წაველ, ფიცრებს ჩამოვიტან და ახალ სახლს ავაშენებო, მაგრამ ვერ დაიყოლია.

და ყოველ სდამოს დაცინვით შეხედება ხოლმე პოლზე ჩაცვივნილი ქოხი... ახლაც ისევ... მკლავის კუნთები აუთამაშდა, ჯავრობს; ერთი მოქნევით უნდა მიღეწოს გაბავლებული ბებრუჯანა, მაგრამ მამა ეცოდება: მოხუცს თავისი ნაშენი უყვარს...

ქარი შეაღო.

— შვილო, ისევ ჩამოღის წყალი, — მიადება მამამ, — მე მუხლები მიკვეთება. ადი, შვილო, და გააკეთე.

შვილმა ენაზე კბილი დაიკირა და მორჩილად ავიდა სახურავზე.

ვანშობენ. გარედ ქარი მატლლობს; ხუმრობით სახლში აც უბერავს, სანთელს ეთამაშება.

— მარცხს იზამს ეს ოხერი. — სთქვა მოხუცმა.

— ნეტა სახლს არ დაგვანგრევდეს თავზე და.. წაიპუტუნა ბებიამ და ლოცვა დაიწყო.

— გეუბნები ახალ სახლს ავაშენებოქო და არ მიჯერით. — გაბედა შვილმა.

მოხუცმა ეშმაკურად ჩაიცინა:

— ჰი, ჰი, ჰი.. რა კარგია ახალგაზოხბა! მე ჩემი სიცოცხლე მოვანდომე ამის აშენებას და შენ სულის შებერვით აპირობ ახალის გაჩენას?... არა, შვილო, ეცადე ეს ძველი არ გადაგეცალოს თავზე და ახლის იმედი არა მაქ.

რადას იტყოდა შვილო, ვის დააჯერბდა.. გულში კი გაუათეცდა სიძულვილი სახლისადმი... სული ეხუთება ამ დაღმეპილ ქერქვეშ!

ჩუ! ნაშწვრის სუნი დადგა...

აწრიალდენ.

— სახლი იწვის! — საშინელი ხმით დაიყვირა მოხუცმა.

— იწვის!! — თავზარი დაეცა ბებიას.

— იწვის, იწვის!! დაშალი იწვის...

— ხარობს შვილი...

აღი მთელ სახლს მოსდებია. დანაკვერცხებული საძირკვლები ტკრციალით ინგრევა...

მოხუცი სასოწარკვეთილი მიშტერებია თავის ნაშენს... ბებია ლოცულობს.. შვილი იღიმება.

აღ. ცირეკიქე

\* \* \*

იგი ბრძოლიდან ველარ დაბრუნდა, ვინ დაბრუნდება ან იმის გარდა? და ქეთოც გლოვით მოსთქვამდეს უნდა: **რა კარგი იყო! როგორ მიყვარდა!** ომში წასვლისას.. ომში წასვლისას სამშობლოსათვის ვერ აღიკვიცა, — ამიტომ ვგლოვობ სიკვდილსა მისს!.. ამიტომ ესე განრისხდა ზეტა.

ბაბილინა

\*) 12 მარტს დეკემთა სააგენტომ გავრცელებულ დეკემის საფუქელიანობა უარპყო.





# გაგვზავის მისაიღუმლე



შიო მღვიმელი

ვის არ გაუგონია ჩვენი ბავშვების საყვარელი, მოზარდთა სულისა და გულის მესაიღუმლე მგოსნის შიომღვიმელის სახელი?!

უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში იგი დედის ძუძუსთან ერთად აწვეთებდა ბავშვებს მამულის, ბუნების, ურთი-

ერთის გატანის, ძმობა-ერთობის, გმირობის, ჩაგრულ-დევნულთა და სხ. საყვარულს... ვერ გადაშლით თითქმის ვერც ერთ ქართულ საბავშვო ჟურნალის ნომერს, რომ იქ „ძია შიოს“ ლექსი არ შეგხვდეთ. მისი საბავშვო წიგნაკები, განსვენებულ გიგო ტატიშვილის მხატვრობით გამოცემული: „სამი ცელქი“, „ძუნწი“, „ოქროს თავთავი“ და სხ უკვე საყოველთაოდ ცნობილია და რამდენჯერმე დაბეჭდილი. საბავშვო მწიგნობრობის ვარდა შიო სხვა დარგშიც ცნობილია და საპატრიოალაგო უქირავეს ქართველ მგოსანთა შორის... საყურადღებოა, განსაკუთრებით, მისი საგმირო და დრო-ჟამის დამახასიათებელი ლექსები.

წელს უკვე ოცდაათი წელიწადი სრულდება, რაც პატრიცემული მწერალი თავის კალმით მოზარდ თაობას სულიერად ჰყვებავს. ამ დღის აღსანიშნავად მის პატივის მცემელთ განუზრახავთ სალიტერატურო დღია გამართონ, რომლის შემოსავალი მიეცემა დღეს გაპირვებაში მყოფ მწერალს.

სახოვადობების ვალია, ნივთიერი მადლობა გადაუხადოს იმას, რომელიც მთელი ოცდაათი წელიწადი სულიერად ემსახურებოდა ჩვენს მოზარდ თაობას და მით საშუალება მისცეს, რომ უფრო მხნედ განაგრძოს თვისი ჩანგის ჟღერა...

ვიზრუნოთ ცოცხლებზე და დამსახურებულ მოღვაწეს სიცოცხლეშივე მივუძღვინათ

ნათლი მინც, რასაც სიკვდილის შემდეგ არ დაუზოგავდით...

ჩვენის მხრით კი დამსახურებულ მგოსანს ვუსურვებთ დღევრძელობას...

იოსებ არიმათიელი

# უბრალო საუბარი

(ნაწყვეტი)

„ჩემო წაღკატის შეენება! რატომ აღრანდულად აღარა ჰქუვაი? ან ნაუფის არ იძლევი? და თუ იძლევი, იმასაც უუარვის? — დაკეთხ: შებაღე ხიღის-ხეს.

— მიტომ რომ დაუქიანდი! — უნასუხს დამჰქანამა სემ. — მას შემდეგ რადი კი დეღამაწამ მაღალატა, ცამ დამსეტუვა, ქანამ შემარხია — რად ძაღა უნდა შემჩნეღდა?..

— ეკ კი, მაგრამ განა ცოტა მიწამღია შენაფის?

— გაწამღია? ჰჰმ!.. შენ რომ საჰყაველით გარღან მიშხაჰუნო, ის შინაგან სეტკიფარს რას არგებს? ანა დააკვირდი ჩემ შტოებს!.. ზოგი გამხმარია, ზოგიც ახლა ჰქნება: თვითონც უნაუფოთა და სხვებსაც უშღის! — შენ კი ზარი დაგიღია და შეიმოუჭრებ. რატომ არ მითატნ ცუღის და ან გადამსხუვაჰ ამ უნაშეუღო ტოტებს, რომ მათ ადგილზე ახლამ ამოიფაროს? მაშინ ნახსე თუ რა ნაუფის გამოიღებ!

— განა ეკ კიდევ შესაძლებელია?

— ჯერ კიდევ, სანამ ძირი მაგარი მაქეს. ანა ნახე ერთა რეგორა მაქეს ფესვები გაბაჟაჟგინებულა. შენ მხოლოდ ხელი შემოწევე და სხვა მე ვიღია!..

დაკვანა შებაღემ, აასრულა რჩევა და ხემაც გაახარა:

დახს!.. სემ გაახარა, მაგრამ შენ რა გაგახარებს, წაღკატის მსგავსო, ჩემო ზატარა ჰქუვანე? უმერება შენი შინაგანი წელუღია და უგნურება გტოდაფს!.. ვინ არიან და სდადექს შენი შებაღეები, რომ სულზე მოგასწონან და გამოგაბრუნონ? მართალია, გარს გეხვევიან, სიყვარულსა და ერთგულებასაც ჩემუღობენ შენის, მაგრამ ეს ყოლიფერი მათივე



ოპორტუნისტების ნუიფიკა, ს:ზარდალ ჩანჩაგში  
 ჩანსმული. დღევანდელი ჩვენი წარა-მარა დრია-  
 ლი: „გუმბურთის სქარბუფელისო“ და „მრ-  
 ვალ-ჟამიერო“ რა არის, თუ არ სჭკუქვლითი  
 შინაშინის გარედან შეშინებუნი? თუ-შომწონდ  
 რომ დამკვინდ შტეპის ვეპოტინებით. და  
 ფესვები კი ღამის ამოვგდით, ნუ თუ ეს  
 არის გონიერული ჭირისუფლობა? ამრვლის  
 შტეპეველებით ვერაინ ცხინდებოა, ბრძანებს  
 უფლო, და ჩვენ კი ცრთელ სიტუვებათა ვართ  
 გადაქვეული... აბა ვის უჭირავს ხელში ის ცუ-  
 ლი, ის მახელია, რომლითაც უნდა ჩვენს დღე-  
 ვანდელ ცხოვრებას განმარდნ შტეუბი შირა-  
 ლის, დოვრძლას და ეკლს ძირი უგდოს, სი-  
 ცმუტი მოჭკვეთოს, რომ დამკვინდობა განხედლოს?  
 ეს ცული და მახელია არის ის შეგნებული სი-  
 უფარული და ერთგულება ქვეყნისა, რომელსაც  
 თავდადება ქვეა და სიმართლითა გაღვსილი,  
 უსუსიადლოდ, უშიშრად, ზარდაზირა სჭრის და  
 ქვეყნავს... ბრალი ვის უნდა დავსდებო? ვინ  
 უნდა გავამტყუნოთ? ხალხი თუ მისი მეთაურე-  
 ბი? რასაკვირველია მეთაურები.. სვანების დე-  
 კანოზის ქვითხეს: როგორი მღვდელი ხარ,  
 რომ არც კითხვა იგი, არც წერა და სახეპირი-  
 ბიც გადავისხვარებოდა?

— კმ უოლიფერი მართალია, მკვრამ  
 ხალხს რომ სჭერა, შერ დარწმუნებული ვარ ჩემ  
 დეკანოზობაზე... სთქვა და ჩამოსვა წვე-  
 რებზე ხელი. ვინც ამ სვანის ზხრზე დადებდა  
 ის, რასაკვირველია, დაჭარბებს, რომ ჩვენ მუ-  
 თაურებიც გვეყვან და მოწინავე დასიც, მკვრამ  
 ჩვენ კი ჩვენდა თავად უარსა ვჭეოთ მათ,  
 რომელთაც, მართლ და სვანების დეკანოზებს-  
 ვით უჭეროდ ჩუგდათ ხელში წინამძღვრობა  
 და დირსულებს წინ ეღობებიან... (ჩვენ აქ სა-  
 ზოგადოდ უმეტესობაზე ვამბობთ და არა იმ  
 თვითთ-ობელაზე, რომელთაც არ შეეხებათ ეს  
 ხეობი სიმული). ხშირად ნახვით ჩვენში რომე-  
 დიმე თქმობა დაწესებულებებში მისთანა მეთაურ-  
 ს: და წინამძღვარს, რომელსაც არც წარსულში  
 გამოუჩინია თავი და ვერც მომავალში გამო-  
 ჩენს! . გიგორის და კეთილება შინ თავს: ამ  
 კაცს წინ რა მიუძღვის?—არაფერი!—უკან? არა-  
 ფერი! მამ საზოგადო სარბიელის ქანდარახე  
 რომ ფარშავანგის ნაცვლად წამოუსუებუ-

ბათ და გაფუფულ ინდურავით იქიდან გად-  
 მოამზინებინ, რა მიზნება? რა მიზნება და  
 ის ზარდა ეგოსტობა, ის ჩემიან-მეჩინაობა  
 და ის ჩუქვანობა, რომელიც ჩვენ ცხოვრებას  
 დღეს სასიდავით მასღება და სულს ჭხდას .  
 ჩვენი წინამძღვრების უმეტესობა ბოძებლის  
 აღსარების მიმდევრია: „თუ შე აღარ ვაქვებო,  
 ქვა ქვებდაც ნუღა უოფილაო“, და ამ გვარ  
 რწმუნების კაცს განა შეუძლია, რომ ეუჭს გა-  
 რეშე სხვა რამეზედაც იფიქროს?! შიტომაც  
 არის, რომ ჩვენი მოწინავეები შორს ვერას  
 ჭხედავენ, ავსა და კარცს, თუ შათი სასარგებ-  
 ლო არ არის, არ ანეგებენ და როცა დვარდლია  
 ეკალი იოუსება, გულ-გულიად შეჭეულებენ,  
 თათქის და ვარდაია. ხშირად გამოცინია მთ-  
 გან: „სადა გვცდია, რომ წვრილმანებს გამოუ-  
 ჯგოთ?!“ მართალია, უოველი თესლი ნუიფიკე  
 უფრო ზატრას: შედარებით წვრილმანია, მკვრამ  
 იმ წვრილმანს რა შედეგი მოჭეუება, იმას აღარ  
 უჭერებენ. ჭერ კიდევ ვერ შეუგნათ, რომ თა-  
 ვის თავად, არც წვრილმანი არსებობს და არც  
 სხვილმა!.. არც დიდაც რამ და არც ზატრას,  
 ეს უოლიფერი შედარებითა წარმოდგენას... შე-  
 დარებით თხსუება მხეცები უფრო დიდები  
 არიან შორიელ ასბიტებსე, მკვრამ ეს ზატრას  
 მტრები უფრო საშიში და სიფრთხილო არიან  
 აღამიანისთვის. ლომა იმდენს რას დააკლებს  
 კაცს, თუ გაფრთხილებულია, რამდენსაც უძ-  
 ლური და უჩინარი ზატრას იგობობი, ანუ აჭი-  
 რის-ჭია“, რომელიც რღია კი ჩამერება და  
 დაბოუდებს აღამიანის გვაში საშუელს აღარ  
 იძლევა. ბუერჯელ დაუფრინათ ჩვეთვის და უა-  
 თაც აღდივართ, რომ წვრილმან რამებს გამოდ-  
 გობია და რა სჯადრისათა? ჩვენც დაგვიკერ-  
 ბია: შემერთავლართ, და შეგნებულვართ, მკვრამ  
 ეს წვრილმანებიც აღიდაც და დღეს ტერ-  
 თად გავწვენს ზუგესე.

... „ოჰ, ეს დიდი სენია!.. დრო  
 ირის, რომ თუკი აღვანებოთ უზნობით  
 და უადვილოდ წარა მარა „მრვალ-ჟამიერის“  
 ბღავილს და სჭირთ, სწორ-გზას დავადგოთ..  
 შინურობაში მივიხედ-მივაიხედოთ, ჩემიან-  
 შენაზობაზე“ ხელი ავადოთ და საიდანაც უნ-  
 და იოის, მოყვარეს მივერუდ აღვივებოთ და  
 მტრს მტრულად დავუხედო!..

533





# პარიზის ლეგის სურათი

ელვას, ზობოქრობს დიდი ქალაქი,  
 ეტლი ეტლზედა მიქრ-მოქრიალვებს;  
 ელექტრო სხივში გაბრწყინებული,  
 სუფრახე ხალხი გზნებით ღრიალვებს.  
 მუსიკა უკრავს სატრფიალო ჰიმნს,  
 ქუჩის დარბაზი კარ-ვაშლილია,  
 ღამის ვაჟარი მუშტარს დაეძვებს,  
 ცეკვავს .. კისკისებს... მოწყენილია.



**გიორგი ჭყონდიდელი**

დავით აღმაშენებლის (1080—1125) მოძღვართ მოძღვარი. ოსეთში იცხოვრა 12 წ., დახსნა სასულიერო და სამონასტრო სკოლები, ოსთავან აწმადებდა სამღვდელთ პირებს, ოსთა შორის ქართული წერა-კითხვა გაავრცელა, გარდაიკვალა ოსეთში, ქართლს მოასვენეს და ახალ მონასტერში დაკრძალეს დიდის გლოვით. (ზ. ჭიჭინაძის „ოსეთის ისტორიიდან“).

სიმღერა, კონცა, კვიცილ-ხარხარი,  
 ოქრო და ვერცხლის ბზრიალ-წყრიალი,  
 აშკარად ერთად არეულია...  
 მსუქან ჰირუტყვთა ისმის ღრიალი:  
 — კაცობრიობის ჩვენ ვართ მნათობნი,  
 ადამიანის ვცანიო უფლება,—  
 ჩვენსა კარებზე სისხლით სწვრია:  
 „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“.

**II**

ქუჩისა პირად ბნელსა კუთხეში,  
 ნაგავი უჯრით დაგდებულია,  
 სანამ გასწმენდენ, მისკენ თარულად  
 მიიპარება დამშუვლია.  
 ჰა, მიახწია სანატრელს ადგოს,  
 ხელს აფათურებს სიბნელურეში,  
 რალაც იპოვნა და სიხარულით  
 ხარბად ჩაიგლო ჩუმთა უბეში.  
 ფეხს აუჩქარა, ბინისკენ მიღის,  
 დარაჯს არ შეხედეს—ეს ენატრება,  
 რადგანაც იცის კონკში გაჩვეულთ  
 გარჯთ გამოსვლის არა აქვთ ნება.  
 გარბის საბარლო, ვისაც სისწყლით  
 ართმეული აქვს ყველა უფლება,  
 როცა კარებზე დაუწვრიათ  
 • „ძმობა, ერთობა, თავისუფლება!“

**III**

სატულაოსი იღება კარი,  
 ჯალათს უცდიან წესის დამცვენი,  
 პატიმრის ღოგინს თავს დასდგომია  
 ციხის უფროსი, მსაჯული, მღვდელი.  
 კანონის მსხვერპლსა, ტკბილსა სიზმარში  
 მწარ-მომავალი სულ ავიწყდება,  
 მის მყუდრო სმენას, ოდეს ცივი ხმით  
 უფროსის სიტყვა ძილში ჩასწვდება:  
 — „საათმა დაჰკრა გამოისყლო  
 ცოდვანი შენი და უზნებობა;  
 თავ-მოსაქრელად ჯალათი გელის,  
 გამოიჩინე სულის მხნეობა!“  
 ტანს იმოსება ძილში შემკრთალი,  
 უშიშრად ჯალათს მიიჩერდება!  
 დანის ქვეშ მიყავთ ხელვებ გაკრული...  
 წუთისა შემდეგ თავი ვარდება.  
 არც სიბრალული, არც სინანული,  
 გამოფიტულა გული და გრძობა,  
 სისხლისა მორევს სირცხვილით დასცქერს  
 თავისუფლება, ძმობა, ერთობა...

კატო მიქელაძე

ზაზაია, 1907 წ.

# შეხვედრის მსხვერპლი

(სოფლის ცხოვრებიდან)

## I

— გია, გია, გია, სამახარობლო დაამზადე, სამახარობლო! — უთხრა ღმილით ბებია სალომემ ფუჩქიანთ გიას და ნელის ნაბიჯით კაუჭა ჯოხზე დაბჯენილი ბურნუთის წვეთი მიუახლოვდა, რომელიც დერეფანში შეშას აპობდა.

— რის სამახარობლო, ბებია სალომე, რის?! — ღმილითვე მიუგო გიამ სალომეს და სახე-გაწითლებულმა მორცხვად თავი ჩაღუნა.

— ჰი გიდი, ვითომ არ იცი რისა! — ხელი გაიქნია ბებია სალომემ და განაგრძო: — კიდევაც მალაპარაკებ. დედაშვილობამ ბედნიერი ხარ, ისეთი ვაჟი ეყოლა თალალოს, ავ თვალს არ ენახებმა, ესლავე მწყემსობა შეუძლიან, ისე გაკვივის ღამის ქერები აპყაროს, ამა ყურა დაუდგე! კარგი ძეგბაც გეკუთვნის. ერთი ემანდ რომ ქოცო \* ) გაქვს მიჩქაღული, ახხადე და ყელი ჩავისევლოთ ტუპილი ღვინით. ვაჟის მამა ხარ ბიჭო, ვაჟისა! — აქ ბებია სალომემ ყური აუწია გიას.

— მაგით რას მაშინებ, ბებია სალომე, ქოცოს კი არა, ათ კოკიანს მოვხდი, ათიანს!

— ათ კოკიანი, შვილო, ნათლობისთვის შეინახე, ესლა კი ე ქოცოც გვეყოფა, მეტი არ გვინდა, სხნილი იყვეს, ქოსმანა ბურვაცსაც დაგაკვლევინებდი, მაგრამ სამაზროზედაც კარგად გადავკრავთ არც ივარგებს ამ აღდგომისთვის, რომ სახლი გაუწათლავი შეგყვით. იღბალი გქონიათ, დედაშვილობამ, იღბალი, წრეულს ერთი თქვენ შეგემატათ ვაჟიშვილი და ერთი მახობაანთ პართეს, დანარჩენთ ყველას ქალები გაუჩნდათ. — აქ ბებია სალომემ ბურნუთის კოლოფი წამობერტყა და ხარბად შეისრუტა გამწვანებულ ცხვირის ნესტოებში.

— ყველაფერს ავასრულებ, ყველაფერს! ისეთი დრო გავატაროთ, რომ ქუდი ქერს ვისროლოთ! — მიუგო გიამ.

— შენ იცი! — წარმოსთქვა ბებია სალომემ და საჩქაროდ ისევ მგლოგინესთან შებრუნდა, რომლის ხამალაი კენესა გარეთ გაისმა.

## II

სინარულით ფეხზე აღარ იდგა ფუჩქიან-შვილი გია, რადგან პირველად ვაჟიშვილი შეეძინათ.

— ესლა კი აღარაფერი მიჭირს, ძმასავით მამესწრება, ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მწყემსობა შეეძლება, რაც სარჩო მამდის ისიც ე ბოჩოლებში მიმდის სამწყესურად. ეს მაინც დარჩება სახლში! — ფიქრობდა გია და თან ქვევრს ფრთხილად ხდიდა სარქველს — იპ, შენ კი გენაცვალე ვაზის ძირში. შირონია, შირონი, ეს ნაკურთხი! — წარმოსთქვა აღტაცებით გიამ და სველი თიხის ჩარეპიანით ხარბად მოიწაფა ღვინო. შემდეგ გაავსო ღიდი ღოჭი, დაათარა ქვევრს სარქველი და სახლში შევიდა.

— ღმერთო, შენს მოწყალეობას ნუ მოაკლებ გიას ოჯახს! — წარმოსთქვეს ერთხმად სახლში მყოფთ, რომელნიც ძეგბაში იყვნენ მოპატყვებულნი.

— ამა, დედაჩემო, სუფრა კი არ დაგვიგვიანდეს! — მიმართა გიამ თავის დედა გიანესს! — აიგერ ჩენი არაკუნე \*\*) მღვდელიც მოდის თავის ჩოხა ჩამოქმედილ დიაკვნით და მნათეც თან მოსდევთ, ღვთის წყალობა მაგათ ამ ღვინოს მოუღვინონ! — ჩაიცინა გიამ

— აქა შვილიბა! — წარმოსთქვა არაკუნე მღვდელმა, როდესაც სახლში შევიდა.

— თქვენი კურთხევა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა, მამაო ესტატე! — მიუგეს ერთხმად ყველამ.

— შვილო, რაღა ამ ქიაკოკონობას გამართე ე ძეგბა!

— ესლა კარგია, მღვდლო, გადავკრათ და სულ იაღბუზისკენ გავგყვით კუდიანები! — ჩაერია ონოფრე დიაკვანი ღამაპარაკში.

\*) ქოცოს პატარა ქვევრს ეძახიან ქართლში

\*\*) არაკუნე მეტი სახელია.





— ჰო, შენი მამა ცხონდა, მეც ვე უნდა მეთქვა, მერე ისეთი ღვინოა, როგორც თაფლი, აბა ერთი ჭაშნიკი მიირთვიო! — უთხრა გამომვლელს და ღვინით საცეკ ჭიქა მიაწოდა.

— ყოჩაღ გია! ეს კარგი ღვინო დაგიყენებია! — წარმოსთქვა მღვდელმა, როდესაც ჭიქა გამოსცალა და საჩქაროდ ოლარი გადაიგლო. როდესაც არაკუნემ შეასრულა სამღვთო წესი, ჯვარს ამთხვია ყველა, წმინდა წყალი ასხურა იქაურობას და საჩქაროდ მოიკეცა სუფრის თავს, დანარჩონებიც ჩამწკრივდნენ.

— აბა, ბებია სალომე, მობძანდით თქვენც! — მიმართეს სალომეს, რომელიც მელიოგენისთან ახლოს ბუხარს მოსჯდებოდა.

— არა, გენაცვათ, აქ თავს ვერ დავანებებ, როგორღაც გული ეფერება თალალოს. ჩემი წილი აქეთ გამოგზავნეთ.

— გული ეფერება და აი, წითელი ღვინო მოიყვანს ღონესე! — მიუთხრა გიამ.

— კიდევაც; გია, კიდევაც, მამაშვილობამ! — კვერი დაუკრა არაკუნე მღვდელმა.

### III

გათენდა ჭიაკოკონობის მეორე დღე, ესე იგი, დიდი ხუთშაბათი. კარგა მოშუად ღვეებულყო, რომ ცისკრის ზარი დაირეკა. ღვინისგან გაბრუნებული არაკუნე მოძღვარიც შეიშმუნა, გადიცვა თავის გაბუნებულ ანაფორა და გამოშტერებული გაულდა ეკლესიისკენ.

— ეტყობა გუშინ გაიღვეშეოდა სადმე ჩვენი მღვდელი, ერთი შეხედეთ როგორ ამოგანგულულა ტალახში! ხა, ხა, ხა, ხა!.. — გაღიხარხარა ერთმა.

— გუშინ გიას ძეობა ჰქონია და იქა ყოფილა ისე უსვამთ, რომ ყველას სუფრაზე დასძინებიათ, ხოლო ე ჩვენი მღვდელი, ონოფრე დიკვანი და მნათე ისე გამობრუნებულან, რომ სახლის გზა ძლივს გაუგნიათ! — წარმოსთქვა ერთმა.

— ღვთის წყალობა, ეგენი ჯავრს იყრიდნენ! — დაუმატა მეორემ.

— აი, მოძღვარიც ესეთი უნდა, ეხლა

ოლარს დაეძებენ, არ იციან გიასთან დარჩათ თუ გზაში დაქარგეს, ეხლა იქ წაჩერებულა ჩვენი მნათე! — წარმოსთქვა ერთმა ახალგაზდამ, რომელიც ეკლესიიდან გამოვიდა და თავმოყრილ ხალხში გაერია.

გლეხობა ბაას-სიცილ-ხარხარში იყო, რომ უეცრად ზედა უზნიდან საშინელი ტირილ-წიოკობის ხმა მოისმა და ჩოჩკოლი.

— კაცო, აქი საცოდავი გია არ ამოწყვეტილა ცოლ-შვილით! — წარმოსთქვა ერთმა ახლად მოსულმა გლეხმა, დანარჩენთა კონობის მოყვარეობით ყურით დაუგდეს. — გუშინ ხომ ჭიაკოკონობა იყო, გიას არ დაუნთია ჭიაკოკონა, დაეწყებია, იმის ცოლი თალალო ხომ ახალი მშობიარეა და ი კულიანებიც ხომ მშობიარეს ემტერებიან. ჰო და წუხელის კულიანებს დაუხჩვით ისიც და ახლად დაბადებულიც. გიას დედა გაინე რომ ამდგარა დილით, საწყალი თალალო ზედ თავის შვილზე გადაწოლილი ნახა თურმე დამხჩვალი.

— ეჰ, აი დიდება შენთვის ღმერთო, ალბად მართალია თორემ, რალა ამ კულიანობის დღეს დატრილდა ეს საცოდაობა!.. წმინდა გიორგიმ დასწყველოს ეშმაკი, გამოგონია ახლად დაბადებულს და მშობიარეს მანე სულელები ემტერებიანო. შარშანწინ არ იყო ჩვენებიანთ სესიას აკვანში გაეგულა ბავშვი. დედას რომ ვეღარ დაეძინებინა, ხაშხაში ექმია ბლომად, დაეძინებინა, მაგრამ მეორე დღეს გაგულული დაუხვდა დედას აკვანში, — სთქვა ერთმა ხანში შესულმა გლეხმა დაბეჯითებით.

ჩქარა მთელმა სოფელმა გიას სახლში მოიყარა თავი და ერთი მითქმა-მოთქმა შეიქმნა. ყველა კულიანებს აბრალებდა იმ უბედურებას, რომელიც გიას დაატყდა თავს. თვითონ გია გვივივით გამხდარყო, სახე შეშლოდა და არ იცოდა რას სჩადიოდა. გაინე და ბებია სალომე კი მოთქმით და თავპირში ცემით დასტიროდნენ დედაშვილის გაციებულ გემს.

### 3. დვანელი



# მსკლვის ვარი თვალში

(ეუძღენი გ-ს)

ერთ ღროს ჩემს ბელსა განავებდენ გიშრის თვალები, გულში მხედებოდენ ცეცხლოვანი ისრები მწველი... დამისხვრა კერპი ესდენ სისტიკ და უღმობელი,— დღეს თვალს მტრედის ფრად მოაკამამეს ვეტრფილები!

ის, სხვას რომ აბამს, თვითაც ებმის გრძნების მხემში, მასში იცინის წრფელი გრძნობა დამდნარი ცრემლად: წამწამთა რხევა აღბეჭდილა სპეტაკ სარკეში.. მასში უკვდავ სულის ქანდაკება დასდგამია ძეგლად!..

კ. ჭიჭინაძე

# ოზოლი ვიძრი

დაცაღიერდა ჩემი გული... ღადრ შაქვს გრძნობა... უიძებლობას მწვავე სევდა მტანჯავს... მწვალებს... მაცდურის გრძნებით მომეხარა მწარე თბობა... მწარე თბობა.. უიძებდა; მისუჭავს თვალებს... მიუყვარდა ფიქრი... მაგრამ იგიც წამართვა სულმა... და ესდენ მტრად დაგმობა ისე... მარტო ვარ.. მარტო შეება და ღხენა... გამომტევა თბობის წუღუღმა.. ადრადღის შეყვ, რომ ეს ტანჯვა მას განუშარტო... მიუყვარდა ტრფობა... მაგრამ ახლო არეინ მიკარებს... სულის სიტურფე ამომიშრო ნადგეღმა მწვეღმა.. მაგრამ მე უარბის, აბა ესხდა ვინ შემოყვარეს, როდესაც გული მომიშხამა მაცდურმა გეღმა... ერთიღა დამჩრა.. ვხეღავ სდგება სამშობლო მხარე.. თავისუფლების აბობიქრდა.. მძინვარებს ქარა... თუ ახლან ბედა მიდაღატებს—მას მოყვებ ბარე, რომ არ ვიხილო ჩემი დედა მტარღდასკან მკვდარი.. ჯერ კიდევ ვხეღავ... რწმენის სხივი ჯერ არა ჭქრება... ვხეღავ შუქფრქვევით ამომავალს სინოცხლის მთვარეს.. ვხეღავ მოყვებება... ჩემი გავში მიკარება ტურფად გაფუქჩენიღს, ზუგავებულს სამშობლო მხარეს.

ილ. მოსევილი

# გაუფურჩქნელი ვარდი

ჩემს ოთახის წინ ვარდის კუკური ამოიწვირა შემოდგომის პირს, ფერმიმკრთალია, ვით დილის მთვარე, აცრემლებული მუდამ სტირს და სტირს. წითელ ღიმილით არ უთრთის ტუჩი, ცელარ იშლება, ვერ იფურჩქნება, და ქრება ისე, როგორც ჩემს გულში გამოუთქმელი სურვილი, ვნება. რა საბარალოა, როცა ყვავილი გაუფურჩქნელად დაიყვავილეს, ოხ, რა მწარეა, ვინც გულშივე კლავს გამოუთქმელად ვნება-სურვილებს. ვარდის კუკურა! მწამს სუსხი მტანჯავს შენს დასაქნობად ისა-გაწველილი მზეც დაგაქნობდა.. მაგრამ ტუბილია, რასაც რა ეტრფი მისგან სიკვლილი.

ი. სიხარულიძე

# ოპიი სხსელ-მოსკეჭილი



ვარლამ შავლებს ძე მგელაძე

წმიდა გიორგის ოთხივე ხარისხის ჯვრით დაჯილდოვებული, ოზურგეთის მახრელია. მონაწილეობდა დასავლეთით მომქმედ ლაშქარში და დიდათ ისახება თავი გაბედული და მოხერხებული დახვეწილი. დაჭრილია ფეხში. განკურნების შემდეგ ჯარშივე აპირებს დაბრუნებას






იესო ქრისტე ეკლის გვირგვინით

## საბჭოს ნაპვესები

ჩვენში ერთი მოსამსახურე იყო დიდი ლოთი და დიდი მოქრთამე. როცა იქნავადაა-ყენეს, მაგრამ იმას რაღა ენაღვლებოდა? წავიდა პეტროგრადს და იქ სცხოვრებდა თავის-თვის. ერთხელ ამ გადაყენებულს დიდი წვე-ლება ჰქონდა პეტროგრადში და სხვათა რიც-ხეში, შემთხვევით აქ მყოფი, აკაკიც მოხე-

და. — მასპინძელმა სადილზე ტრიახი დაიწყო: კავკასიაში რომ ვიყავი, ძალიან უყვარდა ხალხსაო!.. წამოსვლის დროს სადილი გამიმართა და სახსოვრად საჩუქარიც მომცაო. გამოიტანა საჩუქრად მიღებული აზარფეშა, რომე-ღზედაც „კოლხიდის ვერძი“ იყო დახატული. სტუმრებმა იკითხეს, რას ნიშნავს ეს ვერძი?





აღვგორული ხომ არა არის რაო?—როგორ არაო! — მიუგო აკაკიმ—ჩვენში აზარფეშა ლოთობის ემბლემა და ვერძი კი იმას ნიშნავს, რომ ბერძნებმა უდიდალი ფული გაიტანეს ჩვენი ქვეყნიდანო.

ქუთაისში ერთხა და იზავე დროს მსახურებდნენ: ორი მძა — გვარად ჰრინცი. ბეკი და კნიაზივეო. იმ ხანებში გუბერნატორმა უთხრა აკაკის: რა აზრისა ხარ ჩემ გუბერნიაზეო?—დიდი არისტოკრატიული გუბერნიაო მიუგო პოეტმა—აქ სამსახურში ამწესებენ პრინციებს, ბეგებს, კნიაზებს და საწყალო ქართველისათვის კი ადგილი აღარა რჩებაო.

### სამაგალითო სკოლა

სხვა ნაზრად არ შემიძლია მოვიხსენიო ის სკოლა, რომლის შესწავრთა კრება შესდგა 1 მარტს.

ეს აზის ქართულ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლა.

ჩვენ გადაგვარებულ ხანაში იშვიათად გვიხანხავს ისეთი საქმიანი, ნამდვილი ქართული დარბაზლური კრება, როგორც ქართულ ქალთა ხსენებული კრება იყო.

ბუკობზე ჩვენის ცხოვრების დიდ მნიშვნელოვან საკითხზე—ქართული დარბაზ ქალთა სწავლა-აღზრდასა და სხეულისწო სწავლებაზე..

მას შემდეგ, რაც ჩვენი ცხოვრების ჩაზრის ტარი ხელიდან გამოგვებდა და, სხვა ბეერ მოვლენათა შორის, ქალთა მშობლიური სწავლა-აღზრდასა და სხეულისწოში გაისტატების საფუძვლიერ შეირა და ქალნი სერეულ განათლებას გვეუბნენ, ქართული მოკვანხე ქალცისხლოლი საკებარი შექმნა, იმტა მოცუნდრუკე უსაქმურ ქალთა რიცქმა და ოჯახის დედაბოძი ძნელი სპოვარი-და გაზდა, — ქართული ოჯახის კერა გაცივდა... რა ოჯახის შექმნა შეუძლიან იმ ქალს, რომელსაც არც ერთხელ ნიადაგზე დაფუძნებული გონებრივი განვითარება აქვს, არც ხელსაქმისა და ოჯახის მოვლის ცოდნა!?. ამტომაც არის ჩვენი ხალხი ნიუთიერად და გონებრივად ჩამორჩენილი, რომ მის დეებეს აღარ მოსდგამთ ოჯახის მოვლა-პატრონობის ძალა...

მ:დადი წოდების ქალნი თუ თვისი გავროვნობით, მზითვით ანუ საშუალო სწავლაცანთლების დიდადობით იკვლევდნენ და იკვლევდნენ ცხოვრების ტზას, საშუალო და დაბალი წოდების ქალნი—მდაბიო ხალხის შეილება იმ მსრით დიხს გაჭირვებას განიცდიდნენ და განიცდაან..

ხოლო ჩვენი არსებობის საფუძველი რომ მდაბიო ხალხსა და განსაკუთრებთ მისი დედათა სქესა—ქალები, ეს ვიდამ არ იცის...

სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ვურადღება ამ ოცი წლის (1895 წ.) წინად მოწინავე ქართულ ქალთა მცირე ჯგუფში, შეგარბა ცოტადმდენი ფული და 1897 წ. 7 მარტს პატარა სამკერვალო გახსნა ძველებურ ქართული ხელსაქმის აღსადგენად. საქმის მოთავსედ მოაწვიეს ჩვენი საყვარელი მწერალი ქალი ეკ. რუგ. გაბაშვილისა \*. სამკერვალომ მადე სკოლის ეღფერი მიიდა, დაზრდა ოთხჯანთიფილებიანი სკოლა და დღეს კი უკვე ხუთ განუთფილებიანსა შესდგება. მოწაფეინი უმცირესი სამ წელი წადს სწავლობენ უოვალდანი ხელსაქმისა და თერთველობის კერვას, აგრედვე საჭირო სავნებს—ქართულს, რუსულს, ანგარბს, ისტორიას, გეოგრაფიას, ბუნების მეტრეელებას, ხატვასა და სიმღერას. კვირაში ერთხელ სკოლაში იმართება ბუნდოვან სურათებიანი კითხვა (უგანსანედ კრებაზე არჩეულ იქმნა კომისიი დექტეების მოსაწობად), დანარჩენ ორ წელიწადს მოწაფეინი სწავლობენ ფეხსაცმელს, კორსეტებისა და კაბების ჭრა-კერვას თერთულად და პრაქტიკულად სკოლასთან არსებულ სამკერვალოში. ქართ. ქალ. საქმ. საზ-ის მიზნად აქვს გაავრცელოს პრიფესიონალური ცოდნა და მასთან დადგინოს ძველებური ხელსაქმე..

სკოლის დაარსებიდან 1912 წლამდე სკოლას 975 მოსწავლე ჰყოლია (650 ფსიანი, 325 უფსანი). პირველი ექვსი წლის განმავლობაში სწავლის დამთავრების მოწობა მიუღია. 120 ქალს, შემდეგ კი სახელოსნოს მართებლობის შემოწმებით ატესტატები მიუღია 312 მოწაფე ქალს. ამ სკოლაში გურს დამთავრებულთ, ამ ატესტატების ძალით, უფლებას აქვთ პრიფე-

\*ესარგებლობთ „ქ.ქ. საქ. საზ-ის. ანგარიში“-თ





სიონადური სკოლები და სამკურნალოები განსნან. ამ სკოლაში ნაწყვლით ზრთოესიონადური სკოლები და სამკურნალოები დაურსებოთ სოფ. ვაქორში, ხაშში, ხირსაზე, საკარეჯოში, თბილისში, ბათუმში, ოხურგეთში, ზუგდიდში, გომში და სს. ამავე „ნაგრობიდან“ ფტობინობთ, აკურდვი, რომ ამ სკოლაში სწავლა-დამთავრებულნი ბევრ სამრეწველო, სავაჭრო თუ სხვა დაწესებულებაში მისხურებენ და სხვა და სხვა სსწავლებლებში სწავლობენ. ზოგს მათ განს სწავლა დაუთავრებია რუსეთის საქსოვ ქარხანაში.

ჩვენ მივისმინეთ ამ სკოლის მოწვევითა გავეთილი, ვნახეთ მათი ნახელსამეფი, დავესწროთ აკურდვი ამ მოწვევით მიერ გამართულ აკაცის საბრძოლო სელამის (8 მარტს), რომელშიც დამსწრები აღტანებაში მოიყვანა, და დაგრწმუნდით, რომ ქართველ ქალთა ნაშრომი ფრიად დიდი, სპატიო და ნყოფიერი. ამ სკოლაში სწავლა დამთავრებულ ქალთა მოწვევლობით ბევრი ოჯახი გაამართება წელში, სწავლამო გზას დაადგება, ბევრი ასრდება ქუჩის და ცხოვრების მეტ ბარჯის და შუქთახორის მაგერ ნამდვილ დედა-მუშაკად და საზოგადოების სსარგებლო წევრად შეიქმნება.

და ეს კი მეტად დიდი სიკეთე...  
